



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ეროვნული ბანკი

ეროვნული ბანკი საქართველოსი, საქართველოს ცენტრალური ბანკი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი. ე. ბ-ს უფლება აქვს დამოუკიდებლად დადოს ხელშეკრულებები, შეიძინოს უძრავი და მოძრავი ქონება, ფლობდეს და განკარგავდეს მას, გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ, დამოუკიდებლად შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქციები. ე. ბ. დაფუძნდა თბილისში 1991 საქართვე. უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს (უზენაესი საბჭო) მიერ სსრკ სახელმწ. ბანკის საქართვე. რესპ. კანტორის ბაზაზე. თავდაპირველად მისი საქმიანობა რეგულირდებოდა საქართვე. რესპ. 1991 წ. 2 აგვ. კანონით „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“. საქართვე. პარლამენტმა 1995 წ. 23 ივნისს მიიღო ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, რ-იც ახ. რედაქციით ჩამოყალიბდა 2009 წ. 24 სექტემბერს. ე. ბ-ის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის მიღწევა და შენარჩუნება, აგრეთვე ფინანს. სისტემის სტაბილურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, ქვეყანაში მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას. ე. ბ-ის ძირითადი ფუნქციებია: ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტ. შემუშავება და განხორციელება; კომერციული ბანკების, ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეების, საკრედიტო კავშირების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირებისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობის ზედამხედველობა; ოფიც. საერთაშ. რეზერვების ფლობა, შენახვა და განკარგვა; საგადახდო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; ფულის ნიშნების ემისია; საერთაშ. სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების შესაბამისად ქვეყნის ფინანს. და საგარეო სექტორის სტატისტ. წარმოება და გავრცელება. ე. ბ. თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია, დამოუკიდებელია ეკონომიკურადაც და ყველა ხარჯს საკუთარი შემოსავლით უზრუნველყოფს. ე. ბ. საქართველოს წარმოადგენს ყველა საერთაშ. არენაზე და ორგანიზაციაში. მის საქმიანობას წარმოართავს ე. ბ-ის საბჭო, რ-შიც შედის შვიდი წევრი:

საბჭოს თავ-რე (ბანკის პრეზიდენტი), ორი ვიცე-პრეზიდენტი და ოთხი სხვა წევრი, რ-თაც ირჩევს საქართვე. პარლამენტი 7 წლის ვადით. საბჭო ხელმძღვანელობს და ბედამხედველობას უწევს ე. ბ-ის მთელ საქმიანობას.
